წელიწადი მეცხრე.—№ 415

პარასკევი, 15 მარტს 1874

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მ.ნ., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივნოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: საპყრობილის გავლენა—შ ე ნ ი შ ვ ნ ა  წვრილი ამბები—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები—უ ც ხ ო  ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—კორრესპონდენციები პარიჟიდგან—ნ ა რ ე ვ ი—ს ა მ ა რ თ ა ლ ი: ტიჩბორნის საქმე.
ფ ე ლ ტ ო ნ ი: მგზავრის ფიქრები, N—ისა.

# საქართველო

## საპყრობილის გავლენა

ამას წინათ თფილისის მაზრის სამსაჯულომ ათიოდე კაცი გაუძახა ციმბირში; აიხსნა, რომ ესენი იყვნენ ბელიაევის მკვლელები. აიხსნა ეგრეთვე ისიც, რომ საპყრობილეში გაცნობოდნენ ეს კაცები ერთმანერთსა, დაახლოვებულ იყვნენ და შეეკრათ პირობა მომავალში საავაზაკოთ. გასწორების, დამშვიდების და გაპატიოსნების მაგიერად, აი რა გამოჰყოლიათ ტუსაღებს იქიდამ! სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ აუცილებელია კი.

გამოცდილებამ და მეცნიერებამაც კარგა ხანია დაამტკიცეს ეხლანდელი საპყრობილეების უვარგისობა და მავნებლობა. საზოგადოებამ შენიშნა, რომ საპყრობილე ურყვნის ტუსაღს ხასიათს, ჩვეულებას, რწმუნებას. რაკი ერთხელ გაათევდა კაცი იქა, შემდევ ის მავნებელი და გაფუჭებული ზნეობისა ხდებოდა. მაშინ შეუდგენ სატუსაღოების გადაკეთებას და მალევ სანუგეშო ნაყოფი მოიტანა ამ საშუალებამ.

ინგლისში და ნამეტურ ამერიკაში მიქცეულია ყურადღება ამ საგანზედ, და იქა სჩანს ნათლად, როგორს ცოდვას იდებს საზოგადოება თავისთავზედ, რომ ტუსაღების ბედს სრულიად უზრუნველათა სტოვებს. ათასი და ათი ათასი კაცი იკარგება დღეს; ხალხს მშრომელი აკლდება და ქვეყანას დამცველი, სულ იმიტომ, რომ მათი ზნეობის გასწორებაზედ, დაცვაზედ ცუდის გავლენისაგან არა ვითარი ზომა! არ არის მიღებული საპყრობილეში.

მეყრიან ერთ უშველებელ უწმინდურ და ბნელ ოთახში მცირე დამნაშავესა და გაბოროტებულს ადამიანებს და არიან ისინი განუშორებლად დღე და ღამე. ძალიან მაგარი ხასიათი უნდა, რომ უმანკოთ გამოვიდეს ამ ნაირი საზოგადოებიდამ. იქ კაცი ვარდება თავის ამხანაგების გავლენის ქვეშ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად და ბოლოს, ხედავ, საშინელ რამე ცხოველად გადაქცეულა ის, ვინც დამწყვდევამდი კეთილი და უბრალო იყო.

ძველს საუკუნეში თავისებური შეხედულებაა სხვა და სხვა ზნეობით მოქმედებაზედ. მაგალითებრ ძველად დამნაშავეს აგდებდნენ საპყრობილეში, იმისთვის კი არა, რომ იმისი ნაღველი ჰქონოდათ, ნდომებოდათ გასწორება და გადაკეთება—არა! დამნაშავე მსაჯულებისათვის ბოროტი არსება იყო, შექმნილი იმნაირად ღვთისაგან, რომელსაც სჭიროდა დასჯა. და საზარლათაც სტანჯავდენ წინათ დამნაშავეს.

საპყრობილე ჯოჯოხეთად იყო გადაქცეული და დამნაშავეები-ცოდვილებათ. გაშმაგებული ბერების გონება რას არ იგონებდა, რომ მომეტებულად დაეტანჯა ადამიანი? მაშინ იყო შურის ძიება ტუსაღისთვის. დღეს კი განათლებულ ქვეყნებში გამოიცვალა შეხედულება. ეხლა ტუსაღს შურისძიების მაგიერ, ასწორებენ, ზრუნავენ მისთვის, რომ ხელახლავ სასარგებლო წევრი გახადონ საზოგადოებაში. ამ აზრითაა რომ დაარსეს ყოველ საპყრობილეში განაწილება დამნაშავეთა, მათი დანაშაულობის დაგვარად და უკითხავენ ყველას ლექციებს, ქადაგებას, სასიამოვნო და ზნეობის ამამაღლებელ წიგნებს; ასწავლიან წერა კითხვას, სხვა და სხვა ხელობას, და მუშაობას. ხედავ, რომ კაცი პირველად უმეცარი, შრომის უცოდინარი, რამდენიმე თვეს ამისთანა საპყრობილეში რომ გაუთევია, სულ გადასხვაფერებულა.

ცხადია, ამნაირი წყობილებისაგან საზოგადოებაც მოგებული რჩება, რადგან მეტი მშრომელი წევრი ეყოლება მას და თითონ დამნაშავებიც ბედნიერი ხდებიან. იმას გარდა რომ კაცთ მოყვარეობა მოითხოვს სატუსაღოების ძირიანად შეცვლას, აქ წმინდა ანგარიშიც არის. რაც ნაკლები ცუდი ხასიათის კაცი იქნება საზოგადოებაში, იმდენათ თითოეულს მოქალაქეს შეეძლება თავისუფლად ისარგებლოს თავის შრომითა, იცხოვროს უშიშრად.

ერთ საუკეთესო საშუალებათ საზოგადოების ზნეობის ასამაღლებლად, რასაკვირველია, უნდა ჩაითვალოს საპყრობილეების რეფორმები.

მეველე.

## შენიშვნა

წარსულ თვეში ევროპას ბევრი შესანიშნავი და გასართობი საგნები ჰქონდა. მაგრამ ამ მხრით არც ჩვენ ჩამოუვარდებით უკან „განხრწნილს დასავლეთს“. იქ თუ ლიტერატურაში ისეთი მოვლენა მოხდა, როგორც ვიქტორ ჰუგოს ახალი რომანია, აქაც მალე ღირსეულის და სამნიშვნელო ლიტერატურული შრომის გამოცემას მოველით.

მაგრამ, აი რა აკლია ევროპას, რაში გვაქვს ჩვენ, თფილისელებს, უპირატესობა წასრული თვის ცხოვრებაში, მოგახსენებთ:

დღემდის ბოკლი ისეთი შესანიშნავი და საავტორიტეტო! წავლული იყო ისტორიაში, როგორც კიუვიე, ნიუტონი და დარვინი ბუნებითს მეცნიერებაში. მაგრამ რა გამოდგა? ოჰ, სირცხვილო! ოჰ, უმეცრებავ! სიბრმავე თქვენა ევროპიელნო სწავლულნო! არა, როგორ არ მოგივა კაცს გული, და არ აღელდები, როცა ჩვენ კიდევ აზიელებს, მხეც ხალხს გვეძახიან?! დიახ, მოწყალენო ხელმწიფენო, ევროპიელნო, ჩვენ მართალია, აზიელნი ვართ, მაგრამ ერთი სწავლული კი იმისთანა მოგვცა ღმერთმა, რომლის მეცნიერებას, ვგონებ, თქვენც შეეხარბებით. ამ ფილოსოფოსმა და თან კრიტიკოსმაც ნათლათ დაანახა, დაუმტკიცა თფილისის საზოგადოებას, რომ თქვენი ნაქები და განდიდებული ბოკლი ერთი შარლატანი, ახირებული ქაღალდის მბღაჯნავი ყოფ[illegible] დაალეთ პირი, შეგივიდათ შური გულში განა? გინდათ, გითხრათ სახელი ამ განგებისგან ამორჩეული კაცისა განა? თქვენი ნებაა. მაგრამ ამ პირობით, რომ არ შეგვეცილოთ კი, არ წაგვართვათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, მერმისთვისაც ჩამოუძახებს უ. სტადლენი მადლობიდგან ბარე ორს სხვილ სხვილ ავტორიტეტს.

სტადლენი? როგორა სთქვით: ნუ თუ სტადლენი! გეიყვირის შვეიცარიის ფედერალური რჩევა: ეს ხომ შვეიცარიელია, ჩვე-

# ფელტონი

## მგზავრის ფიქრები.

ვისაც მგზავრობა არ გამოუცდია, ვისაც არ ესიამოვნება, როცა მის თვალ-წინ წამდაუწუმ სხვა და სხვა სურათები იშლება, იმასთან მე არაფერი მაქვს საზიარო. მაგრამ ამასაც ვიტყვი, რომ ძნელად წარმომიდგენია ისრეთი არსება, რომელიც არ წარიტაცოს ამნაირს სურათების ქროლვას.

მზე კარგა ხანია ამობრწყინვებულია და ამ სუდარში გახვეულს არემარეზე უცხოთ ლივლივს; ძრიელი ქალაქი დაწყნარებულია, ის ჩვეულებისამებრ ტკბილად, ნარნარად ჰსთვლემს და არა საწუთრო მას არ ადარდებს, მაშინ როდესაც ცეცხლის ეტლი ქშენით და ოხვრით შეჰკივლებს ამ დაობებულ ქვეყანას, თითქო ეუბნება:

ვერ ვაიგითა, ქართველნო, შაგეხნათ რკინის კარია...

აქ სიმშვიდე, მყუდროება, დავრდომილი ცხოვრებაა, გადიხარ ერთ ვერსტს და იქ ასეთი მოძრაობა, ფაცა-ფუცი, და სიცოცხლეა. აგრეა დავარდნილი ხალხის ვითარება, რაც უნდა მახათით ჩხვლიტო, რაც უნდა წყალი ავლო, ის მაინც თავის ტყაპუჭში გახვეული ზის თავის სოროში და კეტით ვერ გაიდენით წინ, ისე უდარდელია თავის ცხოვრებაზედ...

დრო იყო, როცა დიდებული რომი ცას, ქვეშეთს ჰფლობდა, დრო იყო, რომ მისი სხივები მთელ ევროპის არემარეს ანათებდა. მოვიდა დრო, როცა მის დღეს აღსასრული მიეცა, და მას მაინც არ სჯეროდა. მოქუხდა, მოზღვავდა ურიცხვი ხალხთა ტალღები, შემუსრეს რომაელებისაგან აგებული ათასწლოვანი კედლები, დათრგუნეს მისი ძლიერი პატრიციული, გარყვნილი სულის ფეთქა. განვლო დიდმა ხანმა და იქ, სადაც მსოფლიო ცხოვრების ტაძარი იყო აღზიდული, განადგურებული ქალების მეტს, ამომწვარი, ამოდუგული ნახნავ-ნათესის მეტს ვერას ნახვიდა კაცის თვალი. დღეს ჩვენ რას ვხედავთ? იქ, სადაც წინათ კეთილი ცხოვრება ყოფილა, სადაც ხალხი გონებით გაბრწყინვებული ამაყად შესცქეროდა მთელს ღვთის განაჩენს, სადაც მდაბიო ხალხების ტალღას ყველაფერი ღრეში, ნაპრალში, გადუტანია, დღეს ჩვენ იქ ვხედავთ ისევ გონებით აღორძინებულს, მოძრავს, პატივცემულს ხალხს; დღეს იქ შეხვდებით დიდებულს გმირებს, ლომკაცებს, ხალხის საკეთილდღეოდ თავგანწირულებს..

ჩვენც მრავალი უბედურება გვინახავს.

ავშორდი ამ სიჩუმეს, ავშორდი ამ უძრავ ცხოვრებას... ცეცხლის-ეტლი სისწრაფით მივაქანებდა იმერეთისაკენ, მზე თან-დათან უმატებდა თავის სიმხურვალეს, ჩვენც რაც დრო იყო უფრო და უფრო უახლოვდებოდით დიდ მთებს; მარცხნივ და მარჯვნივ მოჩანდენ სხვა და სხვა სოფლები, მაგრამ ისრე მწუხარის სახით შამოსცქეროდენ ამ ევროპის გონების ნაყოფს, თითქოს ამბობდენ, ვაი რომ ჩვენ რა შორით ვდგევართო.

მართლა, ნეტავი თუ გინახავთ ესმოსახლობა, ეს მათი ნავთ საყუდარი?

გაგიკვირდებათ თუ შეჩვეული არა ხართ, როცა გეტყვიან, აქ სოფელიაო; თქვენ პატარა ბალღობების მეტს ვერას ხედავთ, მაგრამ ბოლი კი ამოდის აქა იქ, მაშ ცეცხლი ანთია, მაშ აქ სულდგმული ცხოვრებს; მაგრამ აი შენობა კოშკიეთ აწვდილი ამაყად დასცქერის ამ ტიალ მინდვრებს, ამ მთელ სოფლის მცოვრებს; მერე ღვრემით, მხეცურად, ვგონებ დამშეული ლომიც ვერ შეყურებს ირმებს, როგორც ეს კოშკი ამ საწყალი გლეხების ცოლ-შვილს საუკუნოებით ნთქავს, სჭამს და თან კბილებს ულრჭენს. რა არის უგუნურება! რათ არის კაცობრიობა ეგრე გაფუჭებული, გარყვნილი, გონება დაჩლუნგებული, რომ ადამის დღიდამ ჯერაც არ მიმხვდარა თავის ნამდვილს მდგომარეობას!

მივქროდით, სურათები ერთი მეორეზედ უმშვენიერესი ჩვენ წინ იშლებოდენ, აჰა, კიდეც მივაწიეთ მცხეთას.

ეს არის ჩვენი დედა ქალაქი, აქ არის ჩვენი წასრული დასაწყისი, საიდგანაც ქართვლის ცხოვრება გაიშალა, საიდგანაც დრო იყო სინათლე ეფინებოდა ამ ჩვენ პატარა სამშობლოს, სადაც მეფობდა ყველაფერი, რითაც ქართველი ერთხელ ამაყობდა, რის ძალითაც ქართველს ამდენი მტერი მოუგერებია, რითაც მხნეობდა, იყო მედგარი და ცხოვრებისთვის დიდი მამაცი, გმირი. გაღმით აღმართულან ეკკლესიები, ციხის ნანგრევები რომელნიც წარსულს გვაგონებენ...

საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ შეუდექით სურამის მთას. ეს მთა იყო, რომელიც ჩვენდა საუბედუროთ, ასრე ჰყოფდა საქართველოს. რა უცხო პანორამა მოჩანს ამ სიმაღლიდამ: ამ მთის ფერდებზე აქა იქ სოფლები სხვა და სხვა ნაგრევებით, ქვაყრილი ხუთი ვერსის მანძილზედ გველსავით იკლაკნება, შორით მოჩანს სურამის ციხე, მერმე თვალუწვდენი ჭალა გაჰყვება მტკვრის პირს.

ნი მიწის შვილი, და ჩვენ თუ კი ჟან-ჟაკ რუსო არ დაგვინებებია ფრანცუზებისათვის, თქვენ რაღაში იფიქრეთ, რომ უ. სტადლენს, შვეიცარიის მოქალაქეს, ბოკლის ჯვარზედ მცმელს გითავაზებდით?!

აქ აუცილებლად უნდა მოხდეს ბრძოლა, საშინელი სისხლის ღვრა ჩვენსა და შვეიცარიის ფედერალურ ჩრევას შუა იმაზედ, თუ ვის უნდა ხვდეს ახალგაზდა ფილოსოფოსი. რადგანაც მოგეხსენებათ აქაური საზოგადოება ლიბერალია, ბოკლს როდი უპირებს ღალატს — თუმცა ეს, ღირსეული პედაგოგის ლექციების შემდეგ (იგივე სტადლენი ფრანცუზული ენის მსწავლებელია) ამტკიცებს მხოლოდ მის ჯიუტობას, და მე სტადლენის დასაცველად ცოტა ამქარი მყავს, ამისთვის იძულებული ვარ, დავემორჩილო სასტიკ ხვედრს და გულ ხელდაკრეფილი ვუცქირო, როდესაც ჩვენ წაგვერთმევა ერთად ერთი მანათობელი, ობოლი მარგალიტი მეცნიერებაში, უ. სტადლენი. მაშინ რაღა მეთქმის ამის მეტი: დახე ამ სოფლის მუხანათობასა!

ერთობით, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს საზოგადოებას არ სწყალობს ღმერთი. აი კიდევ მეორე დამტკიცება: უ. მოლჩანოვმა, წაიკითხა ერთი ლექცია პოლიტიკურ ეკონომიიდამ. ამ ლექციაზედ იმან შერია ერთმანერთში ისეთი აზრები თურმე, როგორც კაპიტალი, წარმოება, საკუთრება. ეს კიდევ რა! ლუი ბლანი კომმუნისტათ გადუქცევია! და კომმუნისტები კომმუნალისტებად! ძალიან არეული მაზხალები ყოფილიყო ამბობენ, და ვაი ჩემს დღეს, რომ ამ სიამოვნებას მოვაკლდი! მაგიერად მეორე ლექციაზედ ერთი უპირველესთაგანი შევედი ზალაში. წარმოიდგინეთ: [illegible] ლექტორის ნაცვალად ვიღაც ბაკებიანი კაცი ადის კათედრაზედ და აცხადებს, რომ მოლჩანოვი არ წაიკითხავს დღეს ლექციას, რადგანაც ზალაში დემონსტრაცია მოახდინეს ზოგიერთებმა სკამის განძრევით, ჩურჩულითა და კიდევ სხვა ნაირათ. ერთის სიტყვით დაარღვიეს საზოგადო მყუდროება.

გამოჩნდა, რომ მოლჩანოვი სკანდალს მოყიდებოდა! ე. ი. ცოტაოდენ სტვენას და შიშ—ს. წმინდაგონიერებაა, მაგრამ კიდევ უწმინდესი იქნებოდა, რომ ამ ხარისხამდე არ მიიყვანდენ თავ' ის ბიტონები, ვისაც თავის გამოჩენა უნდა. შემდეგ ამავე წვერ გამოპარსულ კაცმა გააფრთხილა საზოგადოება, რომ კარგათ დაიჭიროს მან თავი ლექციის დროს, სწორეთ იმ ნაირი ენითა და ისეთი აზრებით, როგორც სასწავლებელში გინახავთ. ამბობენ, თუ შენიშნეს — პუბლიკისაგანს, რა საკვირველია — რაიმე საქციელი, რომელიც არ მოეწონებათ „წრის“ განმგებლებს, იმ წამს დამნაშავეს კუთხეში დააყენებენო.

ჩვენ სრული თანამგრძნობელი ვართ ამნაირი ზომისა. ისეთი საზოგადოება, რომელიც კათედრიდამ ნებას მისცემს, ელაპარაკონ მას ბავშვებსავით, ამისთანა საზოგადოება ყველაფრის ღირსია.

დასასრულ, ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთი ქართველი კაცი აპირებს ლექციი წაკითხვას „წრეში“ „მოთმინებაზედ“. ამითი დაგვირგვინდება წლევანდელი ლექციები. ჭეშმარიტად უფრო შნოიანი ბოლოს წარმოდგენა ძნელიც იყო.

V.

## წვრილი ამბები

— ოსეთში ყვავილი გაჩენილა. მკითხველებმა იციან, რომ ოსებს ცოდვათ და ავათმყოფებისათვის მავნებლად მიაჩნიათ ამ შემთხვევაში ყოველივე ექიმობა. თუ მართლა ოსები ამ ცრუ მორწმუნეობას გაჰყვენ და ავათმყოფებს არ უექიმეს, უეჭველია, ყვავილი გამრავლდება და დიდს ვნებას მოიტანს. კარგი იქნებოდა, რომ მმართებლობა ექიმებს და ფერშლებს გაგზავნიდეს, იქნება როგორმე უშველონ გაჭირვებულებს.

— შევიტყვეთ, რომ ნაადგომევს თფილის ქალაქში რამდენიმე ქართული წარმოდგენა უნდა იქნეს. ღმერთმან ინებოს, რომ ამ წარმოდგენებს კეთილი წარმატება მისცემოდეს. მაგრამ ამასაც ვიტყვით, რომ კარგათ წავა ეს წარმოდგენები, თუ ცუდად, მაინც სასიამოვნოა იმათი გახშირება, რადგან ეს ჩვენში თეატრის მოთხოვნილების გაღვიძებას ამტკიცებს.

— ქუთაისიდამ იწერებიან, რომ ქუთაისის ქალაქი რკინის გზის აცილებისგამო ძალიან დაეცა, ვაჭრობა შემცირდაო, აუარებელი სახლები და დუქნები დაცალიერებულიაო, ხალხის მოძრაობა აღარ არის; გარეშე კაცს ეგონება, თითქო ამ ქალაქს მტერი შემოსევია და იმას აუოხრებიაო. ნამეტნავად მიყრუებულიაო გაუქმებული ხიდის მხარე.

— საკვირველი ის არის, რომ ქუთაისში ერთი ქალი თურმე ადვოკატობას შესდგომია.

— ჩვენ მივიღეთ მღვ. ალ. არდიშვილისაგან პასუხი მღვ. დ. ღამბაშიძის პასუხზედ, რომელიც „დროების“ № 413-ში იყო დაბეჭდილი. მაგრამ ამ პასუხის დაბეჭდა ჩვენ არ შეგვიძლიან, ერთი ამიტომ, რომ ის კითხვა, რომელიც საქვეყნოდ მღვ. არდიშვილმა გამოაცხადა, ჩვენის აზრით საკმაოდ განმარტებულია; მეორედ იმიტომ, რომ, თუ ყოველივე წვრილმან კითხვაზედ დაუბოლოვებელი ბაასი გაიმართა, ჩვენი გაზეთის ადგილი ერთის კითხვის განმარტებასაც არ ეყოფა.

აქვე უნდა გამოვაცხადოთ, რომ მღვდელთ დ. ღამბაშიძისა და ა. არდიშვილის ბაასზედ რამდენიმე კორრესპონდენცია მიგვიღია, მაგრამ არ დაგვიბეჭდავს ხსენებული მიზეზის გამო.

## რუსეთი

— ამ დიდმარხვაში პეტერბურღის უნივერსიტეტის პროფესორი ო. მილლერი პუბლიკურ ლექციებს კითხულობს ახალს რუსულ ლიტერატურაზედ. იწერებიან, რომ მსმენელები იმდენი აღმოჩნდნენ, რომ ზალაში სამასი კაცის ადგილი კიდევ მოუმატესო. წინა წლებში უფ. მილლერი ძველს რუსულს ლიტერატურაზედ და სხვა და სხვა ძველებურ სიმღერებზედ და ზღაპრებზედ კითხულობდა ლექციებს და იმდენი მსმენელები ჰყავდა, რომ თვითონ ლექციების მოთავეები იძულებით ისმენდნენ იმის საუბრებს, რომ რა არის ცალიერ კედლებს შუა ლექციების კითხვა არ მოხდენოდა უფ. მილლერს. ცხადია, თუ რამდენად სახალისოა ახალ ლიტერატურაზედ და ცხოვრებაზედ აზრების გაგონება და რამდენად მომბეზრებელი წვრილმანი ძველი ფაქტებისა და ზღაპრების ღეჭა. ამას იქით იქნება აღარ დაუბრუნდეს უფ. მილლერი რუსეთის ძველს ცხოვრებას. ამ მაგალითიდამ თფილისელი ლექციების მკითხველებიც ისარგებლებენ.

## უცხო ქვეყნები

### საფრანგეთი.

ახალი დეპუტატი და გამოჩენილი მეორე რესპუბლიკის მინისტრი ლედრიუ როლლენი აპირებს თურმე, მხნეთ გამოუცხადოს ნაციონალურ კრებას, რომ იმან არამცა და არამც არ გაბედოს საყოველთაო კენჭის ყრის შეხება. აგრეთვე ის მოიწოდებს კრებას დაიშალოს და დაუცალოს ადგილი ხალხის სურვილის ნამდვილს წარმომადგენელს ახალს პალატას.

რადგანაც საყოველთაო კენჭი — ე. ი. თანასწორი მონაწილეობის მიღება ყოველი ფრანცუზისთვის საქვეყნო საქმეში ლედრიუ როლლენის დაწესებულია და ის ამ საქმის მამათ ითვლება, ამისთვის მის სიტყვას უთუოდ დიდი გავლენა ექნება.

ერთმა პარიჟელმა გაზეთმა იმახვილა ერთჯელ ლედრიუ როლლენზედ და გამბეტაზედ ასე: ლედრიუ როლლენი პატარა დანტონია, და გამბეტტა პატარა ლედრიუ როლლენიო.

მონარხიელებს ძალიან უნდათ წასჩხუბონ ეს ორი კაცი, მაგრამ ის კი ავიწყდება მათ, რომ ესენიც მონდომებული არიან. შეახეთქონ მონარხიელები ერთმა-

---

სურამის მთიდამ შორაპნის სტანციამდი ვინ მოსთვლის რამდენი ნაპრალი, ღრე, კლდე გადაგვატარა ამ ჩვენმა ცეცხლის ეტლმა. შორაპანს რომ მივედით, ჩემს ვაგონში, საიდგანაც არ იყო, ყურებ-წამოშვერილი ადვოკატი არ შემოძვრა! შემოსვლისა თანავე შემოიტანა იმან თავის ციგარის სიმყრალე, მისი ყელსახოვის შმორი. მისს სახეზედ რომ შევეხედნათ, ასე ვეგონებოდათ, უთუოდ ეს ოდესელი ებრაელიაო, კაკინებიც არ ჰკლებია. მაშინვე მოყვა, რასაკვირველია, პროცესების ამბავს, ყოველ მინუტში დაეკითხებოდა თავის ამხანაგს.... მეც მოწყენილმა ერთხანს ყური დაუგდე, არ მომითმინა გულმა და ჩავერიე ბაასში.

ჩვენი ცხოვრება იმნაირათ ლაგდებოდა, მეგონა ამდენს ხანს, რომ რაც ცუდ პერიოდებში ევროპამ განვლო, ის ჩვენ არ მოგვეცხებოდა. მაგრამ რას ვხედავ! ევროპაში ეხლა ბურჟუაზიის ძალა, გავლენა ცოტა არ იყოს შელახულია, იმათ დაეკარგათ წასრული პატივი, ღირსება, იმათ ეხლა მცარცველებს, ექსპლოატატორებს, პარაზიტებს, ჭიებს ეძახიან. მოაწია ჭეშმარიტების განთიადმა; უმრავლესობა თხოულობს სიმართლეს, დანაშთოში კრძალვით შეცქერის ამ წამოშავებულ მთას, ვერ ბედავენ პირდაპირ წინააღმდეგობას, თუმცა ხერხით რასაც კი მოახერხებენ თავს არ იშურვენ. ჩვენ, მე ვამბობ, უნდა აგვშორებოდა ამ პარაზიტების გავლენა...... უმისოთაც დაღარიბებულია ჩვენი ხალხი. რათ უნდა დავარღნილიყო ამ ადვოკატების, ამ წურბლების საწოვრათ, განა ევროპის წარსული ცხოვრება არ გვეყოფა ჩვენ მაგალითათ?

სამწუხარო ის არი, რომ ეს ადვოკატები ახალგაზდობის სახელით ამნაირ ზნეობას ავრცელებენ, აგრე დაუჯერლად, აშკარათ ვამოდიან მარაზედ და უკანასკნელს პურს გლეჯენ სულ მიხდილს ხალხს. აი, ეს არის ავაზაკობა, ეს არის აბრაგობა, ცუდ კაცობა, ზნეობითი სიმდაბლე.

როგორც თითქმის ყველა ადვოკატები ისრე ამ ჩემმა მობაასემ თავისი სჯა დააბოლოვა ამ სიტყვებით: „ყველანი ასრე შვრებიან და მე რატომ არაო“. მივედით კიდეც ქუთაისში, ჩემი ადვოკატი, სანამ ცეცხლის ეტლი გაჩერდებოდა, ვაგონიდგან გამოძრომას აპირებდა და ისეს იყო კინაღამ მეორე ფეხიც არ მოამტვრიეს. ერთი საათის შემდეგ მე ქუთაისში ვიყავი.

საწყალი ჩვენი ქუთაისი რანაირათ დავარდნილა! რა სიჩუმე, რა მყუდროებაა! მრთელი დღე რომ იაროთ, ას კაცს ვერ მოსთვლით ქუჩაზე. ვაჭრობა ხომ რა, ნახევარზე მეტი დაკეტილია დუქნები, ვისაც კი ღია აქვს გაუყრია ხელი-ხელში და ცხვირ ჩამოშვებული შესცქერის გამვლელს და გამომვლელს. დიდი კაცები ყველანი მოწყენილი არიან, ასრე რომ ხშირათ აიღებენ ორ კალათა ბანქოს და მარტოკა შეექცევიან იარალაშს, მოიგებს თუ წააგებს მას დარჩება ყველაფერი. უწინ ამ ჩვენ ქუთაისში, თუ სხვა ახალი არა მოხდებოდა რა, ჭორებს მაინც ყოველთვის საკმაოთ გეტყოდენ; რამდენს ოჯახშიაც შეხვიდოდით, ყველგან გაცხარებული ბაასი, დავა, სიცილი, ყბედობა იყო... დღეს არც ერთი, არც მეორე, არც კენჭი არის საბაასო, არც ბანკი, არც სტუმრობა. ეხლა ცოტასხნით ბაასობდენ ხელის მოწერაზედ, დაპატიჟებაზედ, თავიანობაზედ და სხვ.

მაგრამ ამ მოვლინებამ ისრე უშნოთ, შეუმჩნეველად გაიარა, რომ ბევრს არც შეუტყვია, მოაწერა ხელი ვინმემ, თუ არა. მაგრამ, ჩემის აზრით, ამ სიის შემდგენელს დიდი ცოდნა გამოუჩენია პოლიტიკურ ხერხებში, ის ამით უთუოდ ყურადღების, პატივის ცემის და სხვა და სხვა საჭირო ჯილდოების მიღებას ელოდა, იმას სურდა უთუოდ უკანასკნელად დაერწმუნებია მრავალი, რომ ის კეთილი არსებაა, ერთგული მონა, ყმა, მოსამსახურეა მისი, ვისთვისაც იმან მრავალი გუშინდელი გულითადი ამხანაგი მოიშორა, — რომ ის თავს არ დაზოგავს თავის ახალ სატრფოსთვის და სხვ. . . .

პოლიტიკა სპარსეთისა
გისწავლია გიკვირს ისა....

მაგრამ აგრეა ყველა მომაკვდავის სიცოცხლე, ის ცოდვილობს, იბრძვის, ფაცაფუცობს, სანამდის უკანასკნელად არ ამოიოხრებს; ის ეპოტინება ხეს, კლდეს, უკანასკნელად ხავსსაც, როცა ის კლდეში ვარდება. რა ქნას მაშ? კაცის თავმოყვარეობა ამ სურათს წარმოგვიდგენს ყველგან და ყოველ შემთხვევაში. კაცს, რასაკვირველია უბრალო მომაკვდავს, ყოველთვის სურს რომ ის დიდებულად, გამოჩენილ კაცად მიაჩნდეს ყველას; ძრიელ ესიამოვნება, რომ მიუთითებენ და იტყვიან ეს ის კაცი არისო... დიახ, ბრმა თავმოყვარეობა რომ არ არსებობდეს კაცობრიობაში, მრთელი ცას ქვეშეთი სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენდა. შესამჩნევიც ის არის, რომ როცა კაცი კარგათ შეტოპავს ხელს ამ ცუდ ზნეში, იმას წასრული, ნამდვილი, ჭეშმარიტი ავიწყდება, ის დაბრმავებულია როგორც თავის თავზედ აგრეთვე ხვედრზედაც, იმას ყველაფერი ბურანში ეჩვენება... ამისთანა პირებს მრავალს შეხვდებით ქუთაისში, და მათ რიცხვში, რასაკვირველია, სიის შემდგენელსაც. ამ სიით ის ბევრს ელოდა, მაგრამ ის კი არ იცის, თუ იმას იმავე თვალით უყურებენ, ისრე იცნობენ, როგორც წინათ, და ახალ შალში გახვევა, ახლანდელი სადილები, პირის წლაკუნი მას ვერ მოაცლის იმ ჭუჭყს, რომელიც მის ცხოვრებას აცხია.

N.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერთსა და გზა გაუწმინდონ ხალხის თავისუფლებას.

---

ახალი მერები იწყებენ თურმე ცოტ-ცოტათ ძველებურ ეშმაკობას: ერთს ქალაქში ლედრიუ როლლენს მოუვიდა 296 კენჭი და მის მოპირდაპირეს კონსერვატორს 1347 კენჭი. როდესაც მეორე დღეს გამოაცხადეს კენჭის ყრის რეზულტატი, მაშინვე ქალაქის მცხოვრებლები, რიცხვით 800, წავიდნენ და დაამტკიცეს ნოტარიუსთან, რომ იმათ ყველამ რადიკალურ კანდიდატს ჩაუგდეს თეთრი. მაშასადამე 504 კენჭი ბ. ტონს მერს გადაუყლაპავს. აფერუმ ამისთანა მადისთვის, მაგრამ ქვა რომ გაუჩინოს ამ კენჭებმა მერებს და ეს ქვა მართებლობასაც გადმოედოს, საშინელი კი იქნება!

---

პრინცი ჟერომ ნაპოლეონი და ბონაპარტისტები სამუდამოთ წაჩხუბებულან. ჟერომს პატარა ნაპოლეონის სრული წლოვანობის დღესასწაულზედ ჩისლგერსტში წასვლის უარი უთქვამს. რას მოასწავებს ნეტავი ამნაირი ლიბერალობა პრინცისა? — შენანებას და სწორ გზაზედ დადგომას, თუ დემოკრატულ ოსტატობას?

---

ერთს სხდომაზედ ნაციონალური კრების პრეზიდენტი ბიუფე თავისებურად აპირებდა თურმე მოქცევას. ბიუფემ უარი უყო რესპუბლიკელ დეპუტატს წინადადების შეტანაზედ კრებაში. მაშინ მთელი მარცხენა რესპუბლიკელი მხარე წამოდგა და კარებისკენ გაიხედა. პრეზიდენტმა მიხვდა ეს რასაც ნიშნავდა და რესპუბლიკელ დეპუტატს მიეცა სიტყვა.

სად იყო ამდენს ხანს ეს საპატიო ხალხი? ამდენს ხანს რატომ ვერ მიაგნო გზას!

---

ემილ ოლივიე ნაპოლეონის, უკანასკნელი მინისტერი, არ მიიღო აკადემიამ: ერთი ამიტომ რომ ოლივიე ნაპოლეონის ქებას არ შლიდა თავის სიტყვიდამ და მეორე ლუი ფილიპეზედ ამბობდა ისეთ რასმეებს, რომელიც მის უკანასკნელ ნამინისტრალს უ. გიზოს არ მოეწონა და გიზო ხომ თავი კაცია აკადემიაში.

მაგრამ ოლივიე მაინც თავისას არ იშლის და ამბობს, რაკი ნაპოლეონის დროს მიცნო აკადემიამ ღირსეულად, მე ეხლა ჩემს თავს მიღებულად ვრაცხ და ყოველს აკადემიკოსის ღირსებებსაც მივითვისებო, დავესწრები კიდევაც სხდომაზედაო აკადემიაში.

ამისთანა მოძალე ნახულა? კარგი ხუმრობაა, თუ ოლივიემ ერთი მუშტი-კრივი გამართა საფრანგეთის აკადემიაში!

მართლა, ამ კაცის ლიტერატურული დამსახურება იმაშია, რომ ამან ერთხელ ერთი წიგნი დასწერა, რომელიც დღეს არავის ახსოვს და სადაც ისე ხშირად იყო სიტყვები მე და ჩემი, რომ ტიპოგრაფიაში ასოები მ და ჩ არ ჰყოფნოდათ და სხვაგნიდამ მოემატათ.

---

მაგიერად ალექსანდრე დიუმა-შვილი დღესასწაულობს აკადემიაში. ეს ისეთი სანატრელი ადგილია ფრანცუზის მწერლისთვის, როგორც ამერიკაში პრეზიდენტობა. ალექსანდრე დიუმას ეხლა კი არა მისი მამის ალექსანდრეს (ჩვენში რომ იყო) დროსაც მიაწოდეს აკადემიის კრესლო, მაგრამ მაშინ მან ამნაირი უარი სთქვა: „სანამდის მამა ფეხზედა დგას, შვილისგან ურიგობაა კრესლოში ჩაჯდესო“.

---

## კორრესპონდენცია

---

პარიჟი, 3 მარტს 1874 წ.

კაცს ვერ შეხვდებით ეხლა პარიჟში, რომ გუშინწინდელ ამორჩევებზე არ ლაპარაკობდეს. ტელეგრამმა მოგიტანდათ, რასაკვირველია, იმ ამბავს, რომ ამ მარტის პირველს ვოკლუზისა და ვიენნის დეპარტამენტში ამორჩევები იყო დანიშნული და რომ ორივე დეპარტამენტში ხალხმა თავის წარმომადგენელად რესპუბლიკელი კანდიდატები ამოირჩია: ვოკლუზმა ლედრიუ-როლლანი დანიშნა და ვიენმა — ლეპტი.

უნდა გეკითხათ ამ ორი კვირის მონარხიელი გაზეთები, რა ამბავში იყვნენ, როდესაც შეიტყვეს, რომ ვოკლუზი ლედრიუ-როლლანის ამორჩევას აპირებსო! ყოველ დღე გაცხარებული სტატიები იბეჭდებოდა ამ კანდიდატის წინააღმდეგ, ყოველ მონარხიელი გაზეთის ნომერში ლანძღვაგინება და ათასი ცილის-წამება იყო ამ გამოჩენილი 1848 ორატორისა. ლედრიუ როლლანის ამორჩევა და საფრანგეთის არეულობა — ერთი იქნებაო! რევოლიუცია, ანარხია, ომი, ვაჭრობისა და წარმოების დაცემა თუ გინდათ, ლედრიუ როლლანი აირჩიეთო! ასე აშინებდნენ მონარხიელები ვოკლუზის ამომრჩევლებს.

ხალხმა არ გაუგონა იმათ: ხმის უმეტესობით ლედრიუ როლლანი დანიშნა თავის დეპუტატად და მონარხიელი კანდიდატი კი გააშავა.

მაგრამ ამაზე უფრო შესანიშნავი ვიენნის დეპარტამენტის ამორჩევა იყო. ვიენნი ერთი უმეცარ დეპარტამენტთაგანია საფრანგეთში, მონარხიელი აზრები და კლერიკალები მეფობენ იქ; იმას ხუთი თუ ექვსი წარმომადგენელი ჰყავს ნაციონალურ კრებაში და ყველანი მონარხიელები არიან.

ეხლაც დიდი იმედი ჰქონდათ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხალხი იმათ კანდიდატს — მდიდარ მემამულეს ბოშანს — ამოირჩევდა. ლეგიტიმისტები, ორლეანისტები, ბონაპარტელები, ერთი სიტყვით, ყველა მონარხიელი პარტიები და ახლანდელი მმართებლობის მომხრენი ყველანი ურჩევდნენ ხალხს, რომ ბოშან ამოერჩიათ და არა რესპუბლიკელი ლეპტი.

ხალხმა ლეპტი ამოირჩია და ბოშან ჩააშავა.

×

რესპუბლიკელი პარტია ამ ახალი გამარჯვებით, რასაკვირველია, ძალიან გახარებულია. შესანიშნავია, მართლა, რომ 24 მაისიდამ, ე. ი. იმ დროიდამ, როდესაც ეხლანდელი უხეირო მმართებლობა დაფუძნდა საფრანგეთში, ხუთმეტი ამორჩევა იყო და, ერთს გარდა, ყველა რესპუბლიკელები აირჩიეს. მმართებლობა მონარხიისაკენ იწევს, ის ართმევს ხალხს სხვა და სხვა უფლებებს, ავიწროებს თავისუფლებას, სპობს რესპუბლიკურ გაზეთებს; მაგრამ ხალხი მაინც თავისას არ იშლის: როდესაც კი შემთხვევა და გარემოება ნებას აძლევს, ყოველთვის პირ-და-პირ აცხადებს: „მე რესპუბლიკური მმართებლობა, თავისუფლება მსურსო!“

×

სწორეთ სასაცილო და კომიკურია ეხლა მონარხიელი გაზეთების მდგომარეობა: სხვა და სხვა მონარხიელი პარტიები ერთმანეთს აბრალებენ ლეპტის გამარჯვებას და ბოშანის დამარცხებას. ლეგიტიმისტური გაზეთები ამბობენ, ბოშანს რომ პირ და პირ გამოეცხადებია თავისი ლეგიტიმისტობა, თეთრი დროშა დაეჭირა ხელში და ისე წამდგარიყო ამომრჩევლების წინ, უეჭველია, გაიმარჯვებდაო. „L'Ordre“, „Gaulois“ და სხვა ბონაპარტელი გაზეთები კი, თავის მხრით, ამტკიცებენ, რომ ჩვენი დროშა რომ დაეჭირა, უთუოთ მხოლოთ მაშინ გაიმარჯვებდაო. ბროჰლის მომხრენიც ასე ამბობენ ეხლა!... ნამდვილად კი ამ საწყალ დეპუტატს ყველა დროშა ეჭირა, ყველა ეხმარებოდა ეხლა, მაგრამ მაინც ვერა გაარიგა რა, მაინც ჩააშავეს...

გამბეტას პარტია ისეთნაირად გამხნევდა ამ უკანასკნელი ამორჩევებით, რომ იმათი გაზეთის (Republique Française) დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია მოწინავე სტატია, რომელიც პირ-და-პირ ეუბნება ეხლანდელ მმართებლობას: „ჩამოგვეცალეთ! გზა მოგვეცით ნამდვილ რესპუბლიკელებსაო!“

×

ნაციონალურ კრებაში დაუბოლოვებელი ბაასია ისევ გადასახადზე. ჯერ მარილზე უნდოდათ გადასახადის მომატება და რკინის გზით გადასატან საგნებზე, მერე ფორტეპიანოზე, შემდეგ მაღალი ფორმის ქუდებზე (ჩვენში რომ ცილინდრს ვეძახით) და ეხლა ჰქეულობაზე აპირებენ. ერთი სიტყვით, გაცხარებული ძებნაა ფულებისა, მარცხნივ და მარჯვნივ აფათურებენ ჯიბეებს, უნდათ მტყუანს და მართალს ყველას გადაახდევინონ; არავითარი სისტემა არ მიუძღვის იმათ წინ, არავითარი პლანი, არავითარი ეკონომიური პრინციპების ცოდნა.

ამაზე უფრო მომეტებული დაბრმავება იქნება, რომ ხალხის ვაჭრობისა და წარმოების წარსამატებელად ბალების გამართვა დაიწყო მმართებლობამ! გუშინწინ რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰქონდა ბალი, გუშინ სენის დეპარტამენტის პრეფექტს და დღეს საჭაჭრო სასამართლო აპირებს — სულ იმ განზრახვით, რომ ეს პარიჟის ვაჭრობას გააღვიძებსო! დაპატიჟებული სტუმრები ახალ თეთრ ხელთათმანებს იყიდიანო, ტანცაობაში ცოტა წაღები გაუცვეთებათო და იძულებული იქნებიან, ახალი იყიდონო, გახამებული პერანგი გაესვრებათო, ამით მრეცხავი მოიგებსო, იქნება ღმერთმა ჰქნას, ვისმეს ფრაკის კუდიც შემოეხჳსო... და ყველა ეს პარიჟის აღებ-მიცემას და წარმოებას გააღვიძებს, წინ წასწევსო! მოდი და ეკონომიურ პრინციპებზე ელაპარაკე ამისთანა ხალხს....

×

საფრანგეთის ტახტს ერთი პრეტენდენტი მოაკლდა. ჟულ-ფავრის მჭევრ-მეტყველება ვერ დაეხმარა უფ. ნაინდორფს, რომელიც ამტკიცებდა, რომ მე პირ და პირი შთამომავალი ვარ ლუი მეთექვსმეტესაო: აქაურმა უმაღლესმა სასამართლომ უარი უთხრა იმას ამ სანატრელი ტიტულის მინიჭებაზე.

მაგრამ ეხლა ახალი პრეტენდენტი გამოჩნდა: ბარონნის დეპარტამენტის ერთს მონასტერში კარგა ხანია ერთი ყმაწვილი კაცი ცხოვრობს თურმე, რომელიც ამტკიცებს, რომ ნამდვილი შვილი ტამპლის კოშკიდამ გაქცეულის ლუი მეჩვიდმეტის მე ვარო. როგორც ეტყობა, ეს უფრო კეთილი გულის და გონიერი კაცი ყოფილა: ეს ამბობს თურმე, რომ „მე ჯერ არ მინდა საფრანგეთის მეფობაო, გრაფ შამბორს არ შევეცილებიო; დაე ჯერ შამბორი შებრძანდეს ტახტზე და იმის შემდგომ კი არავის არ დაუთმობო!“

×

იქნება პარლამენტალური სტატისტიკისათვის გამოგადგესთ შემდგომი რიცხვები:

ეხლანდელს ვერსალის ნაციონალურ კრებაში სულ 743 წევრია (დეპუტატი), (750 უნდა იყოს). ამ რიცხვში

1 — რესპუბლიკის ნაპრეზიდენტალია (ტიერი)

1 — ეპისკოპოსი (დიუპანლუ)

1 — პატრი

1 — პასტორი

9 — აკადემიკოსი

2 — მუშა (ტოლენ და ბრეპო)

2 — აფთიაქარი

23 — აქიმი

1 — ნაოსტატარი

38 — მსხვილი (gros) მწარმოებელი

163 — დიდი მამულის პატრონი

59 — სამხედრო წოდებისანი

155 — ადვოკატი

14 — ვაჭარი, ფაბრიკის პატრონი და ბანკისა

50 — მოსამსახურე კაცი და ნოტარიუსი

126 — „კეთილშობილები“ (მარკიზები, ბარონები და სხვ.)

97 — აგრეთვე „კეთილშობილები“ — უბრალო he, თი.

ამნაირად, როგორც ხედავთ, ამ 743 დეპუტატში 250 მეტი ისეთებია, რომელნიც „კეთილშობილური“ დედ-მამისაგან დაბადებულან; დანარჩენი, მომეტებული ნაწილი, ჯიბე გასუქებული კაპიტალისტები და „ენა გაჩარხული“ ადვოკატები არიან.

---

პარიჟი, 10 მარტს 1874.

ამას წინათ ერთმა რესპუბლიკურმა გაზეთმა (XIX Siècle) დაბეჭდა სტატია, რომელშიაც აშკარა საბუთებით ამტკიცებდა, რომ ეხლანდელი ნაციონალური კრების თავსმჯდომარე, უფ. ბიუფე, მიდგომით იქცევაო; ყოველის ღონის ძიებით ცდილობსო, რომ რესპუბლიკელ დეპუტატებს სიტყვა მოუჭრას და მონარხისტებმა კი რაც უნდა ჩაიდინონ კრებაში, ხმას არა სცემსო. თუმცა ყველა დარწმუნებულია ამ სიტყვების სიმართლეში, მაგრამ მმართებლობამ ეს სტატია უფ. თავსმჯდომარის შეურაცხყოფად ჩათვალა და მდმონ აბუს ზემოხსენებული გაზეთი დასაჯეს: ქუჩაზე გაყიდვის უფლება მოუსპეს.

×

მეორე თუ მესამე დღეს მონარხიულ სამასხარო გაზეთში „ფიგაროში“ („Figaro“) [illegible] პირ ურჩევდა რესპუბლიკის პრეზიდენტს მაკ-მაჰონს პირველი და მეორე ნაპოლეონების წაბაძვას, ე. ი. ნაციონალური კრების თოფის კონდახებით გაყრას და მონარხიის დაფუძნებას. „Coup d'état“ მოახდინე, გაფანტე ნაციონალური კრება,“ მოშორდი ამ პარიჟს და იმის მყვირალა რევოლიუციონერებს და ჩამოიარე ჩვენი სოფლებიო, ეუბნებოდა ეს გაზეთი მაკ-მაჰონს; ყველანი დიდის სიხარულით მოგეგებებიან, ყველანი მშვენიერს დიგიძახებენ, გეტყვიან: პავია! პავია! პავია!“ ერთი სიტყვით, ურჩევდა ასე მოქცეოდა ვერსლის ნაციონალურ კრებას, როგორც ამ ახლო ხანში გენერალი პავია მოექცა მადრიდში ესპანიის კორტესებს.

×

ყველა დარწმუნებული იყო, რომ „ფიგაროს“ ამისთანა სტატიისათვის, სულ თუ არ მოსპობდნენ, რაიმე სასჯელს მაინც მიაყენებდნენ. მაგრამ მმართებლობა ყურსაც არ იბერტყდა. ბოლოს ერთმა რესპუბლიკელმა დეპუტატმა — კრისტოფლმა — კრებაში აღძრა ამაზე ლაპარაკი.

როგორც რესპუბლიკელების აზრის გამომთქმელი, კრისტოფლი, რასაკვირველია, იმას კი არ თხოულობდა, რომ „ფიგარო“ დაესაჯათ ამისთანა უშვერი სტატიის დაბეჭდისათვის; ის მხოლოდ ჰკითხავდა მმართებლობას, აეხსნა: თუ რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ სულ უბრალო სტატიის დაბეჭდისათვის რესპუბლიკურ გაზეთებს ასე ხშირად სპობთ და სჯითო, და მონარხიულ გაზეთებს კი, რაც უნდა უშვერი სტატია დაბეჭდონ, ხმასაც არა სცემთ. გაზეთმა „მეცრამეტე საუკუნემ“ ერთს პირს, ბიუფეს, მიაყენა, ვსთქვათ, შეურაცხყოფა და თქვენ დასაჯეთო, და ფიგარომ რომ მთელ ნაციონალურ კრებას და თვით მაკ-მაჰონსაც მიაყენა უფრო მომეტებული შეურაცხყოფა, რატომ იმას ხმას არა სცემდიო?

როგორ გგონიათ, კრებამ ეს სიტყვები როგორ მიიღო? ყოველთვის, როდესაც კრისტოფლი Coup d'état-ს ახსენებდა, მონარხიელები სიცილს მოჰყვებოდნენ; იცინოდნენ ზოგიერთი ისეთი ლეგიტიმისტები და ორლეანისტები, რომელთაც 1851 წელს, როდესაც ნაპოლეონ Coup d'état მოახდინა და მაშინდელი ხალხის წარმომადგენლების კრება გაჰყარა, ბარე ორი თოფის კონდახი მოხვდათ ზურგში და ბარე ორი დღ

გძანდებოდნენ მაზასის საპყრობილეში ჩაწყვდეული. მმართებლობის წარმომადგენელმა ბროჰლიმ უპასუხა ქრისტოფლს, რომ „ფიგაროს“ პოლიტიკურ სჯას კაცი ყურს არ უგდებს და იმიტომ არ დავსაჯეთო... აი, მმართებლობის ლოღიკა!..

×

მონარხიელებს ერთი ჩინებული ახალი კანონის გამოცემა უნდათ! იმ „ოცდა ათის“ კომისიამ, რომელიც კონსტიტუციური კანონების შესადგენად არის ამორჩეული, გადაწყვიტა ამ მოკლე ხანში ისეთი კანონის მიღება, რომლის ძალითაც, ამომრჩევლები იძულებული იქნებიან, რომ კანდიდატები აუცილებელად თავიანთვე დეპარტამენტის მცხოვრებლებისაგან ამოარჩიონ და გარეშე კაცის ამორჩევა არ მიიღებაო. Iცით, რას ნიშნავს ეს კანონი საფრანგეთში, სადაც ყველა ცოტაც არის გამოჩენილი კაცები მუდამ პარიჟში იკრიბებიან და ცხოვრებენ? Iმას ნიშნავს, რომ გამოჩენილ რესპუბლიკელებს, რომელთაც მთელი საფრანგეთი მიაჩნიათ თავის სამშობლოდ და არა მარტო ერთი დეპარტამენტი, სადაც დაბადებულან, იმისთანა კაცებს როგორც გამბეტა, ედგარ კინე, ლედრიუ როლლანი, ლუი ბლანი და სხვა ამ გვარებს —დეპუტატად ამორჩევის -ღონის ძიება უნდათ მოუსპონ. უნდათ „სოფლელებისაგან“ შეადგეს კრება, რადგან მაშინ უფრო ადვილად მოახერხებენ თავიანთ განზრახვების შესრულებას.

×

გუშინწინ სალამოს ლედრიუ როლლანი პირველად დაესწრო ნაციონალური კრების სხდომაზე. Iსა და ნაკე ერთად შემოვიდნენ ზალაში. ლედრიუ როლლანი უკიდურეს რესპუბლიკელებთან დაჯდა. ამბობენ, 1848 წ. აქეთ, ის ბევრი არ გამოცვლილაო: ისევ ცოცხალი თვალები, თეთრი, ლამაზად დავარცხნილი კული წვერები და გრძელი ულვაშები. მხოლოთ ცოტათი გასქელებულაო. შემოვიდა თუ არა, მთელი ზალა, ყველა დეპუტატები ფეხზე წამოდგნენ და უკანასკნელი მეოთხედი საათის განმავალობაში შესცქეროდნენ. Yველა მარცხენა მხრის (რესპუბლიკელი) დეპუტატები მიეგებნენ და ხელი ჩამოართვეს მონარხიელები განსაკუთრებით ძალიან გამტერებით უყურებდნენ, თითქო სწყინოდათ, რომ ეს კაცი ისევ მხნედ და მარჯვედ არის, თითქოს უნდოდათ შეეტყოთ და აეწონათ, თუ რამდენად საშიშო იქნება ამ მჭევრმეტყველი ორატორის სიტყვა და გავლენა ჩვენი მონარხიული პლანებისთვისაო.

×

ლედრიუ როლლანს შემდეგი წიგნი მოუვიდა გარიბალდისაგან.

საყვარელო ლედრიუ როლლან!

მე ვგრძნობ, რომ ვუმაწვილდები, როდესაც გხედავთ, რომ თქვენ ხელახლავ დაადექით თქვენს ჩინებულს დანიშნულებას და დაიჭირეთ პირველი ალაგი რესპუბლიკელების დასში. წინათვე დარწმუნებული ვარ, რომ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექნება კაცობრიობისათვის, რომელიც ტყუილათ, ბოროტებით და ძალადობით ფეხ-ქვეშ გათელილია. მუდამ შენი გარიბალდი.

×

ორიოდე „სანარევო“ ამბავიც.

როგორც მოგეხსენებათ, ამერიკელები გიგანტური საქმეებისა და განზრახვების ხალხია. 1876 წელს 4 იელისს შესრულდება ასი წელიწადი მას აქეთ, რაც იმათ პირველად გამოაცხადეს თავიანთი ქვეყნის Iნგლისისაგან განთავისუფლება და რესპუბლიკის დადგენა. ამ წლისთვის ფილადელფიაში დიდი საქვეყნო გამოფენა მზადდება, რომლის მსგავსი, როგორც ამბობენ, ჯერ არაფერი ყოფილაო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ამ დღის სახსოვრად, ისინი აპირებენ ერთი ისეთი კოშკის აგებას, რომლის სიმაღლე ადამიანისხელს ჯერ არააუშენებია რა. ეს „ახალი ბაბილონის კოშკი“ სულ რკინის იქნება; სიმაღლით ათასი ფუტი, ე. ი. ას ორმოცდა ორ საჟენზე მეტი იქნება და ძირს სიმგრვლე ოცი საჟენი ექნება. (კაცის ხელს ჯერ სამოცდა ათ საჟენზე უმაღლესი შენობა არ აუგია.) მაღლა ასასვლელად ამ თვალ-აუწვდენელ რგვალ კოშკს ერთი შიგნითი ჩვეულებრივი კიბე ექნება და ამას გარდა გარედამ მაშინით სამ მინუტში შეიძლება ხუთასი კაცი აიყვანოს ზევით. კოშკის მაღლა წვერზედ მოწყობილი იქნება უშველებელი ფანარი, რომელიც ელექტრონის სინათლით მთელ არე მარეს გაანათებს.

×

ოსმანის ბულვარზე, სადაც მდიდარი ბონაპარტელები ცხოვრებენ, ყვავილების მაღაზიებს მოგება მიემატათ. როგორც იცით, ამ თვის თექვსმეტს პატარა ნაპოლეონი დიდ სრულ-წლოვან ნაპოლეონად შეიქნება, და იმის მომხრეები იის თაიგულებს ამზადებენ ამ დღისთვის (ია ბონაპარტის სიმბოლო). ერთის ყვავილის მაღაზიაში სხვათა შორის ერთი უშველებელი იის თაიგულია გამოფენილი, რომელსაც აუარებელი ხალხი ასევია და იცინის. ამ თაიგულში შიგნით პატარა ზამბახის ყვავილია (ბურბონების სიმბოლოა) ჩასმული და ამ ყვავილზე აწერია H და V (ანრი მეხუთე-შამბორიო). როგორც ამბობენ, ვიღაცა ლეგიტიმისტი დღეში ას ფრანკს აძლევს თურმე ამ მაღაზიის პატრონს, ოღონდ ის ზამბახის ყვავილი და ორი ასო ამ იის თაიგულში იყოს ბონაპარტელების გულის გასახეთქათაო.

×

კიდევ ახალი პრეტენდენტი საფრანგეთის ტახტისა!

ტოსკანაში (Iტალიაში) ვიღაც სამოცი წლის კაცი ცხოვრებს თურმე, რომელიც ამტკიცებს, რომ მე ნაპოლეონ პირველის ვაჟი, რეისშტატის გერცოგი ვარო. ამბობენ, რომ ეს წყნარი, მშვიდობიანი და უანგარო კაცი არისო!

მაშ ის ნაპოლეონის მთამომავლობის არ ყოფილაო! ამბობს დაცინებით ერთი რესპუბლიკური გაზეთი...

ს. მესხი.

# ნარევი

გამოჩენილი ვენგრიის დიქტატორი კოშუტი ეხლა მილანშია დაურიკებითა ცხოვრებს თურმე, ხუთ-ხუთ შაურად აძლევს უროკს. შარშან იმას მთლად 250 მანეთის მეტი არ დაუხარჯავს. ერთობით ის გაჭირვებას და ნაკლებობას ითმენს, მაგრამ ამაყი მისი სული, სამშობლოს სიყვარული მაინც ისე ყმაწვილად და მაღლათაა მასში, როგორც წინეთ.

კოშუტს ბევრის მხრითგან უგზავნიან შეწევნას ათი და ოცი ათასი მანეთობით, მაგრამ ის ყოველთვის უარს აცხადებს და სილარიბეს არჩევს.

შავი მთის სამთავრომ ერთი სენატორი მოუკლავთ. Iს თურმე ხალხისთვის ბეგარის მომატების მიზეზი იყო და ამიტომ ხვდენია ამისთანა სასტიკი ბედი.

უკანასკნელის გამოკვლევით მრთელს დედამიწაზედ ათას ორას ოთხმოცდა რვა მილლიონი მცხოვრები ყოფილა. ამ რიცხვიდგან სამას სამოცდა ცხრა მილლიონი კავკასიელი ტომის ხალხები ყოფილან, ხუთას ორმოცდა თორმეტი მილლიონი—მონგოლელი ტომის, ას ოთხმოცდა ათი მილლიონი—ეთიოპიელი ტომის, ერთი მილლიონი—ძველი ამერიკელი ტომის, და ას სამოცდა თექვსმეტი მილლიონი—მალაიელი ტომის ხალხები. ეს ხუთი ტომის ხალხები ლაპარაკობენ თურმე სამი ათას ექვსას ორმოცდა ორს ენაზედ და ათასს სხვა და სხვა სარწმუნოებას აღიარებენ. Yოველ წელს დედა მიწის ზურგზედ ოცდა ცამეტი მილლიონი კაცი კვდება, ანუ თითოეულს დღეში ოთხმოცდა ათი ათასი, საათში—სამი ათას შვიდას ორმოცდა ათი, წამში—სამოცი, და ერთი კაცი თითოეულს წუთში. საშუალო ანგარიშით კაცის სიცოცხლე ოცდა ცამეტ წელს გრძელდება. მრთელი კაცობრიობის მეოთხედი შვიდ-წლამდის კვდება, ნახევარი—ჩვიდმეტ წლამდის. ასიათასი კაცისაგან ას წლამდის მარტო ერთი ცხოვრებს, ხუთი ათასიდგან ერთი ოთხმოცდა ათ წლამდის თუ მიაწევს და ათასი კაცისაგან ერთი კაცი სამოცდა ათს წელს ცოცხლობს. სამოცდა ათის წლის ათასს კაცში ორმოცდა ორი ღვდელია, ორმოცი მებატონე, ოცდა თორმეტი სამხედრო კაცი, ოცდა ცხრა ადვოკატი და ინჟინერი, ოცდა შვიდი პროფესსორი და ოცდა ოთხი ექიმი.

— გერმანიის გენერალ-ფოჩტმეისტერს გამოუცხადებია ანგარიში, რომლიდგანაც ჩანს, რომ მთელ დედამიწაზედ წელიწადში ფოჩტით იგზავნება სამი ათას სამასი მილლიონი მიწერ-მოწერის წიგნი, ანუ დღეში ცხრა მილლიონი და მეოთხედი და წუთში—ასი წიგნი. ამ რიცხვიდამ ორიათას სამას ორმოცდა თხუთმეტი მილლიონი წიგნი ევროპაში მცხოვრებლების ნაწერია, შვიდას ორმოცდა ათი მილლიონი აზიაში მცხოვრებლების არის, ოცდა ხუთი მილიონი—აფრიკელებისა და ოცი მილლიონი ავსტრალიელების ნაწერია.

— ლონდონში ერთი მეუნაგირე მომკვდარა, რომელსაც ერთი ლამაზი ქალი-შვილი დარჩენია და აუარებელი სიმდიდრე. ანდერძით დაუბარებია, რომ ჩემს ქალს მხოლოდ მაშინ შეუძლიან ამ ჩემი მონაგარის მემკვიდრე გახდესო, თუ რომ ის ცოლად მეუნაგირეს წაჰყვებაო. თუ არა და რამდენიმე ათი მილლიონი ჩემი სიმდიდრე ხაზინამ რამე კეთილმოქმედებისათვის მოიხმაროსო. ამ მეუნაგრის ქალს თურმე ერთი ყმაწვილი გერცოგი უყვარდა. ამ გერცოგს არ უნდოდა, რომ ამდენი სიმდიდრე დაეკარგა და ამიტომ უნაგირის კეთება ისწავლა და როცა თავის ამქრისაგან მოწმობა აიღო, რომ ამა და ამ კაცმა უნაგირის კეთება იცისო, ქალიც ცოლად შეირთო და მილლიონებიც დაისაკუთრა.

# სამართალი

### ტიჩბორნის საქმე

არც ერთი ქვეყნის სასამართლოს ამისთანა დიდი საქმე არ გაურჩევია ჯერ: 1867 წლიდამ დაწყებული Iნგლისის საზოგადოება, არა თუ მარტო Iნგლისის—თითქმის მთელი ევროპისაც, შეუწყვეტელის ხალისით ადევნებდა თვალ-ყურს ამ უმაგალითო საქმეს. ამ უკანასკნელი ცხრა თვის განმავალობაში, თითქმის ერთი მესამედი ყველა ინგლისური გაზეთებისა ამ საქმის მსვლელობის აწერით იყო სავსე; კლუბებში, რედაქციებში, სალონებში, თვით კოროლევას სასახლეში ტიჩბორნის საქმეზედ ლაპარაკობდნენ; მაღალი და დაბალი საზოგადოება, მდიდარი და ღარიბი ყველა ყურადღებას აქცევდა, ყველას უნდოდა შეეტყო, რითი გათავდებოდა ეს საქმე. Iმ სასამართლოში, სადაც იმის საქმეს არჩევდნენ, იმის მეათედი ხალხიც ვერ ეტეოდა, რამდენიც მსურველები იყვნენ.

რაში მდგომარეობს ეს საქმე? ვინ არის ტიჩბორნი? გაიგონეთ: ამ ოცი წლის წინათ ერთი ახალგაზდა ოცდა ერთი წლის ბარონეტი—როჯერ ტიჩბორნი—ამერიკაში მიდის. Iს სუსტი ჭკუის, სუსტი აგებულების კაცია. განათლება საფრანგეთში მიუღია და ინგლისურს ცუდათ ლაპარაკობს. დიდი ხნის წოწიალისა, სამხრეთი ამერიკის დაელისა და სხვა და სხვა შემთხვევების გამოცდის შემდგომ, ის ჯდება ხომალდში და ავსტრალიისაკენ მიდის. გზაზე ზღვა აღელდება, ხომალდი დაიღუპება და ხომალდთან, რასაკვირველია, სხვათა შორის როჯერ ტიჩბორნიც. ასე ჰფიქრობენ, ამიტომ რომ მას აქეთ არც ის ხომალდი და არც იმის მოგზაურები კაცს არ უნახავს. ტიჩბორნის დიდი მემკვიდრეობა ერთ იმის ნათესავზე ოთხი წლის ყმაწვილზე გადავიდა.

გავიდა ხუთმეტი წელიწადი, ტიჩბორნი არა ჩანს. მაგრამ დედა მისს კიდევ იმედი არ დაუკარგავს: ის აცხადებს ამერიკისა და ავსტრალიის გაზეთებში და იხმობს თავის შვილს Iნგლისში, ლონდონში, მემკვიდრეობის მისაღებად. არაფერი ამბავი არ ისმის.

ხუთმეტი წლის შემდეგ, Iნგლისში ხმა გავარდა უეცრად, რომ როჯერ ტიჩბორნი ცოცხალი არისო, ზღვის ღელვას გადურჩაო, ხუთმეტი წელიწადი ავსტრალიაში დაწანწალობდა, ვინ იცის რამდენი რამე გამოსცადაო, და ეხლა ლონდონისაკენ მოდისო, რომ თავის მემკვიდრეობა, თავისი მამა-პაპეული მამული ჩაიბაროსო. ბოლოს ის ლონდონს მოაწევს. თუმცა ის სრულებით არა გავნდა როჯერ ტიჩბორნს, მაგრამ როჯერის დედამ თავის შვილად იცნო. როჯერ ტიჩბორნი სუსტი, ხმელი აგებულებისა იყო, ეს კაცი ჩარგვალებულია, ღორივით გასუქებული. როჯერმა ლათინური და ბერძნული იცოდა, ამან ლათინური და ბერძნული ნაბეჭდი ერთმანეთში ვერ გაარჩია. ერთი სიტყვით, ტიჩბორნს არაფერი არ უგავდა და ზოგნი ჰფიქრობდნენ, რომ იმის სიმდიდრის ხელში ჩასაგდებათ იგონებს ტიჩბორნობასაო.

ნათესავები (დედის გარდა) და მემკვიდრე არ აღიარებს იმას ნამდვილ ტიჩბორნად. Iს სამართალს მიმართავს. საქმე იწყება. ახალი ტიჩბორნის დასაცველად და საქმის წასაყვანად დგება საზოგადოება, რომელიც ყველა ხარჯს კისრულობს. გაზეთებში, კლუბებში ყველგან გაცხარებული ლაპარაკი შეიქნება. უბრალო ხალხს იმის მხარე უჭირავს, არისტოკრატები სიამაყით უყურებენ ამ კაცს, რომელიც იმათ რიცხვში თავის ჩათვლას აპირებს. ამნაირად ამ უბრალო საქმეს თითქმის საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიეცემა. უბრალო ხალხი აღტაცებით ეგებება იმას ყველგან, სადაც კი დაინახავს, არისტოკრატები პირს არიდებენ.

პირველი პროცესი ნახევარ წელიწადს გრძელდება. სასამართლო აცხადებს, რომ ეს ისეთი თვისების საქმეა, რომ სხვა გვარ სასამართლომ უნდა გაარჩიოსო. საქმე მეორე სასამართლოში გადააქვთ. აქაც შვიდი თვე გრძელდება პროცესსი, თან-და-თან იხლართება; ამერიკაში და ავსტრალიაში მმართებლობა კაცებს გზავნის მოწმების მოსაყვანად. საზოგადოების ინტერესი თან და თან მატულობს. შეიქნება პარტიობა: ერთი ამ კაცს ნამდვილ ტიჩბორნათ სთვლის, მეორე, შარლატანად, მატყუვარად. სასამართლოს წინ რამდენიმე ჯერ არეულობა მოხდება. მეშვიდე თვეზე, სასამართლო სწყვეტს, რომ მომჩივანმა ისეთი საბუთები წარმოადგინა თავის პიროვნების დასამტკიცებელად, რომ ჩვენ როჯერ ტიჩბორნად ვცნობულობთო. მომჩივანი აღტაცებულია, ის გამარჯვებულად სთვლის თავს, ეხლა მდიდარი მემკვიდრეობა უნდა დაისაკუთროს.

მაგრამ პროკურორი არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას და უმაღლესს სასამართლოში, უკანასკნელ ინსტანციაში გარდააქვს საქმე. საჩივარი, საქმის გარჩევა ახლად იწყება.

ამ უკანასკნელი ცხრა თვის განმავალობაში ერთს უმაღლესს სასამართლოს ამ საქმის გარჩევის მეტი თითქმის არაფერი არ გაუკეთებია. Yოველ დღე სხდომებია. ზოგიერთებს იმედი დაეკარგათ და კითხულობდნენ: ნეტა, ექნება ამ საქმეს ოდესმე დასასრული, თუ არაო?

სასამართლოში ოთხასი მოწამე იყო ორივე მხრით; სახელმწიფო ადვოკატი (პროკურორი) ხუთმეტი დღის განმავალობაში ლაპარაკობდა; მოჩივნის ადვოკატმა პირველჯერ თვე ნახევარი ილაპარაკა და მეორე ჯერ ოცდა ხუთი დღის განმავალობაში. ბასის შემდეგ სასამართლოს თავსმჯდომარემ ოცი დღე ილაპარაკა მთელ საქმის და მომჩივან-პროკურორის საბუთების გასამეორებელად.

გასულ შაბათს, პირველ საათზე გაათავა იმან თავისი სიტყვა—და ტიჩბორნის საქმეს ბოლო მოეღო. ნაფიცი მსაჯულები გავიდნენ მეორე ოთახში მოსალაპარაკებელად და ნახევარი საათის შემდეგ განაჩენი გამოიტანეს, რომლის ძალითაც არტურ ორტონს, სხვისი სახელის მითვისებისათვის და ერთი პატივცემული ქალის შეურაცხყოფისათვის, თოთხმეტი წლის განმავალობაში სატუსაღოში ჩასმა გარდაუწყვიტეს.

ს. მ.

# განცხადება

ბიგო ჩარკვიანის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ბუჩკიევისა და მდივანის სახლებში, მაზრის სასამართლოსთან, ისყიდება სხვა და სხვა ნაირი ფერადი ძაფები. აგრეთვე მიიღება გასაწმენდათ ქალის შლიაპები. ფასი თითო შლიაპის გასაწმენდი—სამი აბაზი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Марта 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე